რაჭის მხარის მცირე მდინარეთა ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი

ლუკა ჩობანიძე

ელ-ფოსტა: chobanidzeluka31@gmail.com
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

თანამედროვე მსოფლიოში იზრდება ინტერესი ალტერნატიული და განახლებადი ენერგიის წყაროების მიმართ, განსაკუთრებით მცირე ჰესების განვითარების მიმართულებით, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებასა და მდგრად განვითარებას. ამიტომ მნიშვნელოვანია შეფასდეს რაჭის მხარის მცირე მდინარეების ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, რაც რეგიონში ენერგორესურსების ეფექტური გამოყენების საფუძველს შექმნის.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომში განხილულია რაჭის რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, დამუშავებულია რუკები, სადაც დატანილია რაჭის რეგიონში მოქცეული მდინარეები. განხილულია ასევე შერჩეული რამდენიმე მცირე მდინარე, თითოეული მათგანისთვის შერჩეულია ჰიდროელექტროსადგურის განთავსებისთვის ოპტიმალური არეალები და შეფასებულია საშუალო წლიური ხარჯები, ჩამონადენის შიდაწლიური განაწილება, მდინარის ენერგეტიკული პოტენციალი. ამგვარი მიდგომა წარმოადგენს შესაძლებლობას შეფასდეს რაჭის რეგიონის ჰიდროენერგეტიკული რესურსები და მოხდეს მისი მიზნობრივი გამოყენება ადგილობრივი მოსახლეობის უზრუნველსაყოფად.